საკანონმდებლო სიახლეების

ცნობარი

(2021 წლის ივნისი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2021 წლის ივნისის თვეში.

საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“

2021 წლის 9 ივნისს, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონში „სახელმწიფო ქონების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე განსხვავებული რედაქციით ჩამოყალიბდა კანონის რამდენიმე მუხლი, კერძოდ:

1. 49^1 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. 2012 წლის 31 დეკემბრის შემდეგ აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების/სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში ეს მუხლი არ ვრცელდება საპრივატიზებო საფასურის/სარგებლობაში გადაცემის საფასურის ოდენობისა და გადახდის ვადის ცვლილებაზე, აგრეთვე საპრივატიზებო საფასურის/სარგებლობაში გადაცემის საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს პატიებაზე.“.

2. 49^3 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„მუხლი 49[3]. საგანგებო მდგომარეობასთან, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიშ ეპიდემიასთან ან პანდემიასთან დაკავშირებით სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარის (კონტრაჰენტის) მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებები:

1. თუ სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/საკუთრებაში გადაცემის/მართვის უფლებით გადაცემის/სარგებლობაში გადაცემის პირობის შესრულება საგანგებო მდგომარეობის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის ან პანდემიის დროს შეუძლებელია ან გართულებულია, შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ან/და ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის (გარდა საპრივატიზებო საფასურის შემცირებისა) თაობაზე გადაწყვეტილებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად, ამ მხარის (პირის) მიერ ქონების მმართველისთვის დასაბუთებული თხოვნით მიმართვის საფუძველზე, ქონების მმართველის წარდგინებით იღებს საქართველოს მთავრობა.

2. ამ კანონის 49[1] მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ მოქმედებს.

3. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია განსაზღვროს ცალკეული შემთხვევები, როდესაც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს ქონების მმართველი იღებს.“

ზემოაღნიშნული კანონის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 040110030.05.001.020336

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2021 წლის 14 ივნისს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №33/ნ

2021 წლის 3 ივნისს, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №114/ნ ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, ბრძანების რამდენიმე მუხლი ფორმირდა შემდეგი რედაქციით:

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

1. „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი 1-ით („ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა I-IV კლასებისთვის“) გათვალისწინებულ „ჟურნალის წარმოების წესს“ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-8 და მე-9 პუნქტები:

„8. 2020-2021 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც აწარმოებდნენ მხოლოდ ელექტრონულ ჟურნალს, ხელმძღვანელობენ მოსწავლეთა დასწრების შესახებ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებული ელექტრონულ ჟურნალში არსებული და მასწავლებლის მიერ დაწერილი ელექტრონულ ჟურნალში აღურიცხავი გაცდენების შესახებ გაერთიანებული ინფორმაციით.

9. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც 2020-2021 სასწავლო წლის განმავლობაში აწარმოებდნენ როგორც ჟურნალს, ასევე – ელექტრონულ ჟურნალს, ხელმძღვანელობენ მოსწავლეთა დასწრების შესახებ ჟურნალში არსებული ინფორმაციით .“

2. „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი 2-ით (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა V-XII კლასებისათვის) გათვალისწინებულ „ჟურნალის წარმოების წესს“ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-8 – მე-10 პუნქტები:

„8. 2020-2021 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც აწარმოებდნენ მხოლოდ ელექტრონულ ჟურნალს, ხელმძღვანელობენ მოსწავლეთა დასწრების/აკადემიური მოსწრების შესახებ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებული ელექტრონულ ჟურნალში არსებული და მასწავლებლის მიერ ელექტრონულ ჟურნალში აღურიცხავი ან შეცდომით შეტანილი დაკორექტირებული შეფასებებისა და გაცდენების შესახებ გაერთიანებული ინფორმაციით.

9. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ ამ ბრძანების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი 2-ით გათვალისწინებული „ჟურნალის წარმოების წესის“ მე-8 პუნქტის შესაბამისად გამოთვლილი გაცდენებისა და სემესტრული და წლიური შეფასებების შესახებ ინფორმაციის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცება.

10. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც 2020-2021 სასწავლო წლის განმავლობაში აწარმოებდნენ როგორც ჟურნალს, ასევე – ელექტრონულ ჟურნალს, დასწრებისა და სემესტრული და წლიური შეფასებების გამოთვლას განახორციელებენ ჟურნალის მიხედვით.“

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული ბრძნების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 430030000.22.022.018033

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 04 ივნისს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №134

2021 წლის 8 ივნისს საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში. აღნიშნული ცვილებების თანახმად, ბრძანების რამდენიმე მუხლი ჩამოყალიბდა განსხვავებული რედაქციით, კერძოდ:

ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნაცვლილება და 37^{17} მუხლის:

1. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის გამარტივებული წესი ვრცელდება საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე, ამავე საქმიანობის (საზოგადოებრივი კვების საქმიანობის) ნაწილში ჩამოწერას დაქვემდებარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ (გარდა აქციზური საქონლისა).“.

2. მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. ამ წესის მიზნებისათვის საზოგადოებრივი კვების ობიექტი არის რესტორანი, კაფე, ბარი, სწრაფი კვების ობიექტი, სასადილო, საკონდიტრო, საცხობი ან სხვა ობიექტი, რომლებიც ახორციელებენ საკვების დამზადებას და რეალიზაციას როგორც ადგილზე (მათ შორის, ე.წ. „თეიქ ევეი“ და „დრაივი“), ისე პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, მიტანის (ე.წ. „დელივერი“ სერვისი) გზით.“.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული ბრძანების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017476

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 09 ივნისს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №242

2021 წლის 31 მაისს, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა აწარმოე საქართველოში" სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში. აღნიშნული ცვილებების საფუძველზე, დადგენილებას დაემატა რამდენიმე მუხლი და ცვლილებები განიცადა უკვე არსებულმა მუხლებმა.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, შეიცვალა და განსხვავებულად ფორმირდა ტერმინთა განმარტების მუხლი, რომელიც განმარტავდა პროგრამის ბენეფიციარის, მეწარმე სუბიექტის, სესხის რეფინანსირების, საერთაშორისო ბრენდის და ა.შ. ცნებებს.

განსხვავებულად ფორმირდა პროგრამის კომპონენტების ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი პუნქტები, კომერციული ბანკის მიერ მეწარმე სუბიექტის დადგენილებასთან შესაბამისობის, პოროგრამის ფარგლებში ლიზინგის გაცემის, პროგრამის ბენეფიციარის მიერ სესხის პროცენტის თანდაფინანსების მარეგულირებელი და სხვა მუხლები.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე დადგენილებამ განიცადა ფუნდამენტური ცვლილებებიდ და პროგრამაში მონაწილე პირებისა და მასში მონაწილეობის მსურველთა მიერ აუცილებლად გამახვილებულ უნდა იქნეს აღნიშნულ ცვლილებებსა და დამატებებზე ყურადღება.

ზემოაღნიშნული დადგენილების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 240140000.10.003.022798

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 01 ივნისს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს მთავრობის დადგენილება №264

2021 წლის 7 ივნისს, ცვლილებები განხორციელდა „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №275 დადგენილებაში. აღნიშნული ცვლილებების თანახმად, დადგენილების რამდენიმე მუხლი ჩამოყალიბდა განსხვავებული რედაქციით, კერძოდ: დადგენილებით დამტკიცებული „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის“ მე-3 მუხლის:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების თაობაზე გადასახადის გადამხდელი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით, განცხადებით მიმართავს შემოსავლების სამსახურს. ელექტრონული ფორმით მიმართვის შემთხვევაში, განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის (www.rs.ge) გამოყენებით, გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან.“.

2. მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) გადასახადის გადამხდელის ნებართვას შესაბამისი პირებისათვის საგადასახადო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების გაცნობის თაობაზე, ამ უკანასკნელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით;“.

3. მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. წერილობითი ფორმით წარდგენის შემთხვევაში, განცხადებას უნდა დაერთოს ხელმოწერის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.“.

4. მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„5. თუ განცხადება არ შეესაბამება ამ მუხლის მოთხოვნებს, გადასახადის გადამხდელს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ეცნობება ხარვეზის შესახებ. გადასახადის გადამხდელს ხარვეზის შესახებ ელექტრონული ფორმით ეცნობება შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის (www.rs.ge) გამოყენებით, გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე.“.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

აღნიშნული დადგენილების ამოქმედებამდე გადასახადის გადამხდელის მიერ ელექტრონული ფორმით, სსიპ – შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის (www.rs.ge) გამოყენებით, გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან წარდგენილი განცხადება საგადასახადო შეთანხმების გაფორმების თაობაზე ჩაითვლება კანონმდებლობის შესაბამისად წარდგენილად.

ზემოაღნიშნული დადგენილების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 200030000.10.003.022820

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 08 ივნისს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №271

2021 წლის 9 ივნისს, ცვლილებები განხორციელდა „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში. ცვლილებების საფუძველზე, დადგენილების რამდენიმე მუხლი ფორმირდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2[1]. თუ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისათვის მიკუთვნებული ობიექტები – საგანმანათლებლო და სამედიცინო დანიშნულების შენობა-ნაგებობები აშენებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე, მათი რეკონსტრუქცია შესაძლებელია, განხორციელდეს შენობასთან არსებული სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზის რაოდენობისა და მდგომარეობის შენარჩუნებით.“

ზემოაღნიშნული დადგენილების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 300310000.10.003.022825

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 09 ივნისს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge